თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2019 წლის 16 მაისის სხდომის
ოქმი № 8

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 16 მაისს 12.00 საათზე, 206 აუდიტორიაში შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 38 წევრი.
სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 29 წევრი.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.
/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ.
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი,

ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი,
ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე---29;**
წინააღმდეგი---0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 16 მაისის N8 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილები №7496/10, 23.04.2019 და №8200/10, 06.05.2019) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად მოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **თამილა აბესაძის** და ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 1989 წლის კურსდამთავრებულ **გურამ გურწიშვილის** დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

თამილა აბესაძისა და გურამ გურწიშვილის სახელზე უნდა მომზადდეს დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა შემდეგი:

1. **თამილა აბესაძე** 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაზე (ბრძანება №4/810, 10.09.2001).

   ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ თამილა აბესაძეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 30 დეკემბრის საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით**, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2006 წლის 10 იანვრის №4/7 ბრძანებით - **სამრეწველო საქონლის კომერციისა და საქონელმცოდნეობის**

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№003283 (სარეგისტრაციო №01/4605) რეგისტრირებულია თამილა აბესაძის სახელზე.

საარქივო ცნობიდან გაირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო შემაჯამებელი სხდომის 2005 წლის ყველა ოქმი თსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში გაგზავნილი იყო 2018 წლის 2 აპრილს ბორის ფიცხელიანის საარქივო ცნობასთან ერთად, თუმცა, ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა რომ თსუ სასწავლო დეპარტამენტის მიერ ფაკულტეტზე გამოგზავნილი ოქმები არ იყო სრულყოფილი. შედეგად, 2018 წლის 20 აპრილს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №7) განხილული იქნა საკითხი „ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ბორის ფიცხელიანის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ“. კერძოდ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ 2018 წლის 20 აპრილს რეკვიზიტები მიანიჭა თსუ არქივის მიერ წარმოდგენილ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმებს (წარმოდგენილი იყო მხოლოდ 8 ოქმი - 2005 წლის 5 ივლისის ოქმები: ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობა (საბიუჯეტო, არასაბიუჯეტო), მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმე (საბიუჯეტო, არასაბიუჯეტო), სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში (საბიუჯეტო, არასაბიუჯეტო), სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში (საბიუჯეტო) და 2005 წლის 30 დეკემბრის ოქმი: ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი (დაუსწრებელი)).

მიმდინარე ეტაპზე, თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წარმოადგინა განსხვავებული ოქმები, რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ 2018 წლის აპრილში არქივის მიერ მოწოდებული ოქმები არ იყო სრულყოფილი და ვერ ასახავდა კურსდამთავრებულთა სრულ სურათს. ამჟამად, წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დგინდება, რომ 2005 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მიერ სხვადასხვა სპეციალობაში წარმოებული საატესტაციო სხდომის 21 ოქმი (მ.შ. არის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ სხვადასხვა სპეციალობაში წარმოებული 7 ოქმი).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო (პირობითად პირველი) კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ეკა სეფაშვილი; წევრები: ლ. კოჭლამაზაშვილი, მ. ტოგონიძე, ა. ლაშხია, ნ. ბენდუქიძე, მ. წულუკიძე, გ.*

ნადარეიშვილი, ე. ბოლოკაძე, ნ. თოდუა) მიერ 2005 წლის 5 ივლისს წარმოებულია 13 ოქმი, რომლებსაც სპეციალობების მიხედვით, მინიჭებული აქვთ ნომრები 1-დან 13-ის ჩათვლით *(კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 5 ივლისის №1, №2, №3, №4, №5, №6 და №7 სხდომის ოქმების საკითხი განხილული იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის სხდომაზე).*

ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო (პირობითად მეორე) კომისიის *(კომისიის თავჯდომარე:...., ე. ბოლოკაძე, ნ. თოდუა, მ. წულიკიძე, თ. ჯაში)* მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2005 წლის 30 დეკემბერს წარმოებულია 8 ოქმი, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული ნომერი (*მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამ პერიოდში მოხდა ფაკულტეტების გაერთიანება და ოქმს ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი მ. ჯიბუტი. ამასთან, კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში (დაუსწრებელი განყოფილება) საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმის საკითხი განხილული იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის სხდომაზე და მას პირობითად მიენიჭა ნომერი 8/3).*

ამჟამად, კომისიის მიერ განხილული იქნება პირობითად მეორე კომისიის მიერ წარმოებულ ის ოქმები, რომელთაც არ აქვთ ოქმის ნომერი მინიჭებული და არ არის განხილული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის სხდომაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრის მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

2. **გურამ ნასყიდას ძე გურწიშვილი** 1982 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების შრომის ეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/518, 24.08.1982).

ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1989 წლის 26 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1989 წლის 21 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ გურამ ნასყიდას ძე გურწიშვილს მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1989 წლის დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი PB№094252, (სარეგისტრაციო N01/1343) რეგისტრირებულია გურამ ნასყიდას ძე გურწიშვილის სახელზე.

საარქივო ცნობიდან ირკვევა, რომ თსუ რექტორის 2019 წლის 6 მაისის N428/01-04 ბრძანებით გურამ ნასყიდას ძე გურწიშვილის სახელზე რეგისტრირებული დიპლომი PB N094252 (სარეგისტრაციო N01/1343) გაუქმებულია დაკარგვის გამო.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1989 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 21 ოქმი.

ეკონომიკის ფაკულტეტის №1 (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ფინ. მინ. დ. დვალიშვილი; წევრები: გ. ადეიშვილი, ბ. გაბიძაშვილი, გ. თოდუა, ჯ. კახნიაშვილი, თ. დემეტრაშვილი, ა. მათიაშვილი, თ. ნანობაშვილი, გ. მაზიაშვილი, ბ. შაფაქიძე, ქ. კოპალეიშვილი)* მიერ 1989 წლის 3.06 – 26.06 პერიოდში წარმოებულია 3 ოქმი. მათგან არც ერთი ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

ეკონომიკის ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ფინ. მინ. დ. დვალიშვილი; წევრები: დეკანი - ა. სილაგაძე, მოადგილე - ნ. ბაგრატიონი, დოც. ვ. ჭაია, უფ. მასწ. ნ. ბერძელაძე)* მიერ 1989 წლის 27 ივნისს წარმოებულია 8 ოქმი. ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი №12.

ეკონომიკის ფაკულტეტის №3 (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.დ. ნუგზარ ვარლამის ძე სანთელაძე; წევრები: დოც. მედეა ვარლამის ასული გოცირიძე, დოც. ნოდარ ბაგრატიონი, დოც. ვენერა დიმიტრის ასული ბადრიძე, დოც. ივანე ივანეს ძე გიგოშვილი, პროფ. ოთარ ნოეს ძე საღარეიშვილი, პროფ. გიორგი ადეიშვილი, პროფ. გიორგი ბასილაია, დოც. ილია ვალერიანის ძე ბაქრაძე, დოც. ავთანდილ ტუკვაძე, დოც. გიორგი კვაჭანტირაძე)* მიერ 1989 წელს (ოქმებზე არ არის დაფიქსირებული კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი) წარმოებულია 6 ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

ეკონომიკის ფაკულტეტის №4 (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: კ.ი.პატიაშვილი; წევრები: დოც. ა.ნ.სილაგაძე, დოც. თ.ა. ჭიაბრიშვილი, დოც. მ.ვ. გოცირიძე, დოც. ჯ.ვ. ხარიტონაშვილი, დოც. კ.ბ. გიგაშვილი)* მიერ 1989 წლის 26 ივნისს წარმოებულია 4 ოქმი და არ ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

წარმოდგენილი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმების განხილვისას აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები:

- ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებზე გაკეთებულია ჩანაწერი „1989 წლის 3.06 – 26.06“. ინფორმაციის დაზუსტებისას გაირკვა, რომ იმ პერიოდში სახელწიფო საგამოცდო

კომისიის მუშაობა დამოკიდებული იყო სახელმწიფო გამოცდაზე დაშვებულ სტუდენტთა რაოდენობაზე. სახელმწიფო გამოცდის დამთავრების ბოლოს კი ფორმდებოდა შესაბამისი ოქმი სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. როგორც წარმოდგენილი ოქმებიდან ჩანს კომისიამ შესაბამისად იმუშავა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რასაც ადასტურებს ოქმზე მითითებული თარიღები. გადაწყვეტილებას ხარისხის მინიჭების შესახებ კომისია ღებულობდა ბოლო დღეს. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ვიფიქროთ, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ კურსდამთავრეულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 1989 წლის 26 ივნისს.

- ეკონომიკის ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებს რვა ოქმიდან შვიდ ოქმს მინიჭებული აქვს №12, ხოლო ერთ ოქმზე ნომერი გაურკვეველია.
- ეკონომიკის ფაკულტეტის №3 (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებზე დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების წელი (1989 წელი). ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ შესწავლილი და მოძიებული ინფორმაციით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული კომისიის სხდომა შედგა 1989 წლის 24 ივნისს.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედ კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა.სილაგაძემ

გაიმართა კენჭისყრა:
კენჭისყრის შედეგები: მომხრე---29;
წინააღმდეგი---0

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 2005 წელს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის **სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი**

საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. **თამილა აბესაძე) სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 30 დეკემბერი*** და ნომრად ***№1/3***;

- ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის **სამრეწველო საქონლის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში** სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთათვის **სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ექსპერტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 30 დეკემბერი*** და ნომრად ***№2/3***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის **კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში** სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთათვის **კვების პროდუქტების საქონელმცოდნე ექსპერტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 30 დეკემბერი*** და ნომრად ***№3/3***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის **კვების პროდუქტების კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში** სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთათვის **სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 30 დეკემბერი*** და ნომრად ***№4/3.***
- ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის **საკურორტო, სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი** სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთათვის **ტურიზმისა და რეკლამის მენეჯერის კვალიფიკაციით ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 30 დეკემბერი*** და ნომრად ***№5/3***;

- ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის **მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის** სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთათვის **მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 30 დეკემბერი*** და ნომრად ***№6/ბ***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის **ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის** სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთათვის **ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 30 დეკემბერი*** და ნომრად ***№7/ბ***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის **ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის** სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულთათვის **ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2005 წლის 30 დეკემბრის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 30 დეკემბერი*** და ნომრად ***№8/ბ***.

1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 30 დეკემბრის საატესტაციო სხდომის ოქმებში *(იხ. 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი ოქმი; 2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი ოქმი; 3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი ოქმი; 4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვების პროდუქტების კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი ოქმი; 5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკურორტო, სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი ოქმი; 6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმე სპეციალობაში ფაკულტეტის*

<u>საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი ოქმი; 7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელი ოქმები)</u> მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1989 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №1 (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული პოლიტეკონომიის *(დღე)* და სტატისტიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***პოლიტეკონომიის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 3.06-26.06 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№1/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სტატისტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 3.06-26.06 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№2/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***სტატისტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 3.06-26.06 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№3/ბ.***

2.2. აღდგენილად ჩაითვალოს 1989 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ფინანსები და კრედიტის *(დღე, საღამო)* და ბუღალტრული აღრიცხვის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ფინანსები და კრედიტის*** სპეციალობის (სპეციალიზაცია: ფინანსები) კურსდამთავრებულებს

ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №12, 27.06.1989;*

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების *ფინანსები და კრედიტის* სპეციალობის (სპეციალიზაცია: ფინანსები) კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №12, 27.06.1989;*
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების *ფინანსები და კრედიტის* სპეციალობის (სპეციალიზაცია: კრედიტი) კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1989 წლის 27 ივნისი* და ნომრად *№12/3;*
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების *ფინანსები და კრედიტის* სპეციალობის (სპეციალიზაცია: კრედიტი) კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №12, 27.06.1989;*
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების *ბუღალტრული აღრიცხვის* სპეციალობის (სპეციალიზაცია: ბუღალტრული აღრიცხვა ვაჭრობაში) კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №12, 27.06.1989;*
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების *ბუღალტრული აღრიცხვის* სპეციალობის (სპეციალიზაცია: ბუღალტრული აღრიცხვა მრეწველობაში) კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №12, 27.06.1989;*
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *ბუღალტრული აღრიცხვის* სპეციალობის (სპეციალიზაცია: ბუღალტრული აღრიცხვა მრეწველობაში) კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 27 ივნისის

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №12, 27.06.1989;***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ბუღალტრული აღრიცხვის*** სპეციალობის (სპეციალიზაცია: ბუღალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში) კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №12, 27.06.1989.***

2.3. აღდგენილად ჩაითვალოს 1989 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მრეწველობის დაგეგმვის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი),* მრეწველობის *(დღე)* და სოფლის მეურნეობის დაგეგმვის *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მრეწველობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის ... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მრეწველობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის ... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№2/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მრეწველობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის ... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№3/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მრეწველობის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის ... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№4/ჰ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სოფლის მეურნეობის (ს/მ) დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის ... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№5/პ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***სოფლის მეურნეობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის ... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№6/პ.***

2.4. აღდგენილად ჩაითვალოს 1989 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის *(დღე)*, და შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სახალხო მეურნეობის დაგეგმვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№1/პ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№2/პ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№3/პ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***შროის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. გურამ ნასყიდას ძე გურწიშვილი) ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1989 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1989 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№4/პ.***

2.5. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 1989 წელს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1989 წლის 3.06-26.06 ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 2. 1989 წლის 27 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 3. 1989 წლის ... ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 4. 1989 წლის 26 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად იაგო კურტანიძე 2003-2004 სასწავლო წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტთა სასწავლო პოლკის II ბატალიონის I კურსის რიგებში (ბრძანება №258. 31.07.2007). 2005 წელს სამხედრო განათლების სისტემის რეორგანიზაციის და ოპტიმიზაციის შესახებ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 6 სექტემბრის №303 ბრძანების საფუძველზე ამოირიცხა კურსანტთა სასწავლო პოლკის შემადგენლობიდან, სადაც მას დახურული ჰქონდა ორი კურსი (პირველი და მეორე კურსი). 2006 წლის თებერვალში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №639 ბრძანების - „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წერილი №01-07-09/14646, 07.12.2005) თანახმად იაგო კურტანიძე გადასვლის წესით ჩაირიცხა თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალში, ეკონომიკის ფაკულტეტის მესამე კურსზე, სპეციალობა ფინანსები და საბანკო საქმე (ბრძანება №11/01, 14.02.2006). 2006 წელს საზაფხულო სესიების წარმატებით ჩატარების გამო გადაყვანილი იქნა თსუ ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის III კურსიდან IV კურსზე (ბრძანება №47/01, 18.07.2006, თსუ ქვემო ქართლის ფილიალი). 2007 წელს - VII სემესტრიდან VIII სემესტრში (ბრძანება №01/27, 26.02.2007, თსუ ქვემო ქართლის ფილიალი).

თსუ ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში საატესტაციო-საკვალიფიკაციო კომისიის 2007 წლის ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №3) იაგო კურტანიძეს მიენიჭა სათანადო კვალიფიკაცია და მიეცეს შესაბამისი დიპლომი. აღნიშნულ ოქმში არ ფიქსირდება საატესტაციო-საკვალიფიკაციო სხდომის ჩატარების თარიღი, კომისიის სხდომის თავჯდომარის სახელი, გვარი და აგრეთვე, მისი ხელმოწერა.

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორის ბრძანებით *(ბრძანება №45/01, 03.08.2007* წ. თსუ ქვემო ქართლის ფილიალი) ეკონომიკის ფაკულტეტის 2006-2007 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ იაგო კურტანიძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის კადემიური ხარისხი ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით (საფუძველი: საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება).

თსუ რექტორის ***2007 წლის 20 ივლისის №65 ბრძანებით 2007 წლის 23 ივლისიდან*** დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის, ოზურგეთის და ქვემო ქართლის ფილიალის ლიკვიდაციის პროცესი. შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია და ფილიალში წარმოებული ყველა დოკუმენტაციები და მ.შ. სტუდენტთა პირადი საქმეები დასამუშავებლად გადმოეცათ თსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებს. აღნიშნული პროცესიდან გამომდინარე, თსუ ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორის მიერ 2007 წლის 30 აგვისტოს გამოცემული ბრძანება (ბრძანება №45/01, 03.08.2007) ხარისხის მინიჭების შესახებ ავტომატურად იქნა ანულირებული.

2009 წელს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა ქვემო ქართლის ფილიალის კურსდამთავრებულების და მათ შორის, იაგო კურტანიძის ნასწავლი საგნების აღიარება, სადაც მას უღიარდა 260 კრედიტი. ამავე წელს უნივერსიტეტში შემოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იყო ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის სტუდენტების პირადი საქმეებში არსებული სრული დოკუმენტაციები, რათა დადგენილიყო მათი საშუალო განათლების ატესტატის ნამდვილობა. აღნიშნულის საფუძველზე, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, შეჩერდა ქვემო ქართლის ფილიალის კურსდამთავრებულთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

2011 წლის 5 ივლისს თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს წერილობით აცნობა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დასკვნა ქვემო ქართლის ფილიალის კურსდამთავრებულთა ატესტატების ნამდვილობის დადასტურების შესახებ (წერილი №17572/02, 05.07.2011). დასკვნაში აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს საარქივო მასალის მოძიების შეუძლებლობის გამო სსიპ - „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“ მოკლებულია შესაძლებლობებს დაადასტუროს იაგო კურტანიძის, ხვიჩა იოსელიანის და ჯაბა

ნიგურიანის სახელზე გაცემული ატესტატის ნამდვილობა (წერილი №04-5994, 30.06.2011). ვინაიდან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ვერ დაადასტურა ი. კურტანიძის სახელზე გაცემულ საშუალო განათლების ატესტატის ნამდვილობა, თსუ-მ მას არ მიანიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2019 წელს ფაკულტეტზე შემოვიდა იაგო კურტანიძის განცხადება, რომელსაც თან ერთვოდა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დასკვნა „დადასტურება - MES 4 19 00360619, 27.03.2019“, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში 2019 წლის 28 თებერვალს შემოვიდა ნინო ლორთქფინაძის №251042 განცხადება, იაგო კურტანიძის კუთვნილი საშუალო განათლების №050720 ატესტატის ნამდვილობის დადასტურების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ცენტრის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგენილი იქნა, რომ „საქართველოში აღიარებული საშუალო განათლების ნა №050720 ატესტატი გაცემული უფლებამოსილი დაწესებულების მიერ, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ გამოვლენილა გარემოება, რომელიც დაადგენდა იაგო კურტანიძის სწავლის პერიოდის სახელმწიფო აღიარების გამომრიცხველ ფაქტს. აღნიშნული ატესტატით დასტურდება, რომ იაგო კურტანიძემ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2003 წელს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსში დაასრულა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი. აღნიშნულიდან, გამომდინარე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ნამდვილობის დადასტურების წესის მე-3 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცენტრი ადასტურებს საშუალო განათლების ნა №050720 ატესტატის ნამდვილობას“.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იაგო კურტანიძის სახელზე გაცემული საშუალო განათლების ატესტატის ნამდვილობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს კურსდამთვრებულისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციის შესაბამისად ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ იაგო კურტანიძეს უნდა მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

